შ.პ..ს.“საგარეჯო“

ბუნებრივი აირის შესყიდვა
გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით

სატენდერო დოკუმენტაცია

(კლასიფიკატორის კოდი 09123000)

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12[1] მუხლის, ,,გამარტივებული ელერქტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე

ქ. საგარეჯო 2016 წელი

1.ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 წინამდებარე დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ,,გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების საფუძველზე.

1.2 შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში თავის სატენდერო წინადადების განთავსებით პრეტენდენტი ეთანხმება სატენდერო განცხადების პირობებს.

1.3 დაწვრილებითი ინფორმაცია გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე www.procurement.gov.ge.

2. ტექნიკური დავალება

2.1 საქონლის აღწერილობა- ბუნებრივი აირი-1200მ3 საქონლის სავარაუდო ღირებულებაა 1332 (ათასსამასოცდათორმეტი) ლარი დღგ-ს გათვალისიწინებით.

საქონლის მიწოდება განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე არსებული სატვირთო ავტომობილისათვის ბუნებრივი აირის მიწოდება. გაზგასამართი სადგური უნდა მდებარეობდეს ქ. საგარეჯოდან 5კმ-ის რადიუსში.

4. მიმწოდებელი ვალდებულია საწვავის (ბუნებრივი აირი) მიწოდება განახორციელოს ეტაპობრივად, ტალონური სისტემის მეშვეობით. ტალონზე აღნიშნული უნდა იყოს მიმწოდებლის დასახელება, საწვავის სახეობა და საწვავის ნომინალური რაოდენობა. ბუნებრივი აირის ტალონების მიწოდება „მიმწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 (ორი) დღეში, 10მ^3, 20მ^3 და 30მ^3 ტალონებით. მისაწოდებელი საწვავი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმებს და მოთხოვნებს.

5. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო, გადარიცხვა მოხდება შემსყიდველის საბანკო ანგარიშიდან მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე. ანგარიშსწორების გრაფიკი იმოქმედებს შემდეგნაირად: მიწოდებული საქონლის მოცულობის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის, ფინანსური დოკუმენტის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან გადარიცხვა მოხდება 10 სამუშაო დღის განმავლობაში. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

6. პრეტენდენტებმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით, ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთონ ყველა ქვემოთ მოცემულ დანართით გათვალისწინებული ინფორმაცია:
6.1. ინფორმაცია რეკვიზიტების და სატენდერო წინადადების ღირებულების შესახებ (დანართი №1-ის შესაბამისად).
6.2. მისაწოდებელი საქონლის ფასების ცხრილი (დანართი №2-ის შესაბამისად).
6.3 ინფორმაცია გაზგასამართი სადგურების შესახებ (დანართი N3-ის შესაბამისად).

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტაცია უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უფლებამოსილი პირის მიერ.

პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე: ქ.საგარეჯო, დავით აღმაშენებლის ქ#15, სატენდერო კომისია.
E-mail: sagarejo-2016i@mail.ru ტელეფონი: 595 51 59 15 სანდრო უსტიაშვილი

დანართი#1

ინფორმაცია რეკვიზიტების და სატენდერო წინადადების ფასის შესახებ

1. ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული ფორმა:

2. საიდენტიფიკაციო კოდი:

3. მისამართი:

4. ხელმძღვანელი/ უფლებამოსილი პირი:

5. საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

6. ელექტრონული ფოსტის მისამართი:

7. მომსახურე ბანკის რეკვიზიტები **(**ანგარიშის ნომერის მითითებით**):**

8. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:

პრეტენდენტის დასახელება/ხელმოწერა

დანართი#2

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებელი, მწარმოებელი ქვეყანა, მწარმოებელი	მოცულობა მ3	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა და ადგილი
1						
2						

პრეტენდენტის დასახელება/ხელმოწერა

დანართი №3

ინფორმაცია გაზგასამართი სადგურების შესახებ

№	მისამართი	შენიშვნა
1		
2		
3		

შენიშვნა: წინამდებარე დანართში აღნიშნულ გაზგასამართ სადგურზე უნდა იყოს ტექნიკური დოკუმენტაციით გათვალისწინებული საწვავი. სავალდებულოა, რომ მსგავსი ტიპის არანაკლებ 1 გაზგასამართი სადგური მდებარეობდეს ქ. საგარეჯოდან 5კმ-ის რადიუსში.

პრეტენდენტის დასახელება/ხელმოწერა

ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ------ 2016 წ.

ერთის მხრივ შ.პ.ს.“საგარეჯო“-ს დირექტორის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ (შემდგომში „მიმწოდებელი“) (მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები) შორის, იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი შპს ,,საგარეჯო''-ს ბალანსზე არსებული სატვირთო ავტომობილისათვის ბუნებრივი აირის სახელმწიფო შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე: ———————— (ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ეროვნულ ვალუტაში) (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“ SPA-----

1.გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება“ (შემგდომ – ხელშეკრულება) ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ„ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ “შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდვეთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“ , „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2.ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტია: შპს ,,საგარეჯო''-ს ბალანსზე არსებული სატვირთო ავტომობილისათვის ბუნებრივი აირის (CPV09123000) შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს —— ლარს

3.2 საქონლის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების დადებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 ანგარისწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
4.2 ანგარისწორება მოხდება მიწოდებული საქონლის მოცულობის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის, ფინანსური დოკუმენტის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში.
4.3 ანგარისწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

5.მიღება–ჩაბარების წესი

5.1 საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება ეტაპობრივად შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტების გაფორმების შემდეგ.

6.მხარეთა უფლება მოვალეობანი

6.1 მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე. (დროულობაზე)
6.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, აუნაზღაუროს მას მიწოდებული საქონლის ღირებულება.
6.3შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.
6.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

7.პირგასამტეხლოს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%–ის ოდენობით.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღიურებულების 5%–ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

7.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხოლოდ წერილობით ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათშორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5 ხელშეკრულება ასევე შეეძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთახმების საფუძველზე.

9.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულის წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია, ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახური.

11 ფორსმაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მომწოდებლ;ისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
11.2 ამ მუხლის მიზნებისთვის „ფორს–მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლრებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მომწოდებლის შეცდომებსა და დაუდებრობასთან , რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან

სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიდნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შსახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობოთ პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და გამოინახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებლები იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის.

12.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

12.2მიმწოდერბლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელსეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითის საშუალებით.

12.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისა.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 ხეშეკრულების დამდები ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2ხელშეკრულების დამდები მხარე რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება.

13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებას.

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

13.6 ამ მუხლის მე–5 პუნქტში მითითებულ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

14. დავების გადაწყვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი ოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

14.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. სხვა პირობები

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
15.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი: მიმწოდებელი:

შენიშვნა: ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში